საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

KA990199536112324

№05/974 **14 / მარტი / 2024 წ.**

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურის ძველი თბილისის
სანებართვო განყოფილების უფროსს,
ქალბატონ თამარ მელივას

ქალბატონო თამარ,

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში განხილულ იქნა თქვენი 2024 წლის 22 თებერვლის კორესპონდენცია (N60-01240533467), რომელიც ეხება ქ. თბილისში ივ. ჯავახიშვილის ქ. N62-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.16.05.010.012) სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის საკითხს და მოთხოვნილია სააგენტოს პოზიციის დაფიქსირება ნაკვეთზე არსებული შენობის დემონტაჟის თაობაზე.

გაცნობებთ, რომ ნაკვეთზე განთავსებულ შენობას არ აქვს მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, თუმცა იგი ექცევა მიმდებარედ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფიზიკური დაცვის არეალში. შესაბამისად, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.16.05.010.012) ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული, დამცავ ზონებში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი.

დასახელებული კანონის 35-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, დამცავ ზონაში არსებული შენობებისა და სხვა არქიტექტურული ობიექტების დაშლა (დემონტაჟი) დასაშვებია მხოლოდ ისეთი გადაუდებელი აუცილებლობისას, როდესაც დასტურდება ობიექტის ჩამოშლის საფრთხე; თუ დასაშლელ ობიექტს მინიჭებული აქვს შეუსაბამო ობიექტის სტატუსი ან დაშლა (დემონტაჟი) განპირობებულია დამცავი ზონის მიზნებით; იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს შესაბამისი ტერიტორიის ურბანული ქსოვილის განვითარების ინტერესები.

ამასთან, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილებისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის 2015 წლის 02 აპრილს გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების (გარდა, საკულტო-რელიგიური და საფორტიფიკაციო დანიშნულების კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების) ნებართვის გაცემის, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის და სამშენებლო-სარეკონსტრუქციო პროექტებზე მშენებლობის ნებართვის გაცემის შეთანხმების, გაცემული ნებართვების საფუძველზე შესრულებული შუალედური და საბოლოო ანგარიშების მიღების, ასევე, წარმოებული სამუშაოების ან/და სანებართვო პირობების კონტროლის უფლებამოსილება გადასცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გაცნობებთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ობიექტის დემონტაჟის საკითხის განხილვის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნები და სხვა რეგულაციები, ხოლო აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დისკრეციას.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
ელექტრონულად